



# MAC GEORGIA

## MAC მცირე გრანტების პროგრამა

### **Call for Proposals** | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების გაძლიერება.

MAC Georgia მოხარულია გამოაცხადოს განცხადებების/აპლიკაციების მიღება მცირე საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომელის მიზანია არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების თემის გაძლიერებისთვის.

#### **ბოლო ვადა:**

<b>Small Grants Application Deadline:</b>	<b>Target Date for Notification of Funding Decision:</b>
1 აპრილი	15 მაისი
1 ივლისი	15 აგვისტო
1 სექტემბერი	15 ოქტომბერი
31 დეკემბერი	15 თებერვალი (2023)

#### **ჩვენს შესახებ**

MAC Georgia, დაარსებული 2008 წელს, ემსახურება საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების გაუმჯობესებას მათთვის საჭირო რესურსებითა და სერვისებით უზრუნველყოფით, რომლებიც მათ ჭირდებათ სრული პოტენციალის მისაღწევად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საქართველოს მოქალაქეები და მათი ოჯახები ხშირად განიცდიან სიღარიბეს, ხშირად არ აქვთ აუცილებელ სერვისებზე და დახმარებაზე წვდომა, და შედეგად რჩებიან ინფორმაციის გარეშე თავიანთი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ. უფრო მეტიც, ისინი ხშირად იმ სტიგმების მსხვერპლი ხდებიან, რომლებიც ზღუდავენ მათ კომფორტს და ფართო საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობას. ამ სირთულეების გამო შშმ პირები ხდებიან ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე რისკ ჯგუფი.



# MAC GEORGIA

MAC-ს მიაჩნია რომ თემის ჩართულობაზე დამყარებულ ინიციატივებს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა შშმ პირებისა და მათი დამხმარეების მობილიზებაში, მხარდაჭერასა და გაძლიერებაში. ჩვენს მიერ საგრანტო აპლიკაციების მიღება გამოიზრუნულია ამ ძალისხმევის გასაძლიერებლად.

## ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება

კანდიდატებში შედიან არაკომერციული ორგანიზაციები, საჯარო სკოლები და დაინტერესებული პირები საქართველოში. ჩვენ ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს(DPO) მოვუწოდებთ პროექტში ჩართვისკენ.

## საგრანტო ჯილდოს დეტალები

MAC გთავაზობთ მცირე გრანტებს \$ 3,000 აშშ დოლარამდე, ლარის ეკვივალენტში, განცხადებების მიღება შეიძლება გაგრძელდეს 12 თვემდე, ჩვენი გუნდი მზად არის მიიღოს თქვენი აპლიკაციები მიმდინარე რეჟიმში (12 თვის მანძილზე).

ჩვენი საგრანტო კონკურსის მიზანი არის შშმ პირების ან/და მათი ოჯახების გაძლიერება. პროექტები უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს მიერ გაჟღერებულ პირობებს. მაგალითები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს:

- დამხმარე ჯგუფების შექმნა ან განვითარება
- დასაქმების/ საარსებო საშუალებების შესაძლებლობების წარმოქმნა;
- არსებული სერვისების/რესურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
- შშმ პირებისთვის აქტივობების/სერვისების დანერგვა

საგრანტო თანხის გამოყენება გამოიყენება დაუშვებელია შემდეგი აქტივობების დასაფინანსებლად

- პროპაგანდის განხორციელება;
- ნებისმიერ საკანონმდებლო პროცესის ან რაიმე სახის საჯარო არჩევნების შედეგებზე გავლენა;
- უშუალოდ თუ არაპირდაპირ ამომრჩეველთა რაიმე სახით გადაბირება.

*პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს რეგიონებზე.*

**აპლიკაციის წარდგენის პროცედურა**

1) მცირე გრანტის აპლიკაციის ფორმა:



# MAC GEORGIA

უფლებამოსილმა კანდიდატებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დაფინანსების მოპოვებაში უნდა გამოაგზავნონ შევსებული აპლიკაცია [mac\\_info@macgeorgia.org](mailto:mac_info@macgeorgia.org) -ზე ქართულ ან ინგლისურ ენაზე. აპლიკაცია აუცილებლად უნდა იყოს დადგენილი ფორმატის, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენს ვებ გვერდზე [www.macgeorgia.org](http://www.macgeorgia.org). **აპლიკაციები, რომლებიც არ შეესაბამება დადგენილ ფორმატს, არ განიხილება.**

## 2) მიმოხილვა და ინტერვიუ:

MAC-ის განხილვის კომიტეტი ყურადღებით განიხილავს თითოეულ განაცხადს და ჩაატარებს ინტერვიუს ან/და განახორციელებს ადგილზე ვიზიტს განხილვის პროცესის ფარგლებში. ასევე შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია.

## 3) დაფინანსების გადაწყვეტილება:

დაფინანსებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს MAC-ის განხილვის კომიტეტი. თითოეული აპლიკანტს წერილობით ეცნობება MAC-ის გადაწყვეტილების შესახებ. აპლიკანტები, რომლებიც შეირჩევიან დაფინანსებისთვის, მოწვეულნი იქნებიან ოფიციალური საგრანტი ხელშეკრულების გასაფორმებლად.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ MAC განიხილავს ბევრად მეტ განაცხადს, ვიდრე შესაძლებელია რომ დაფინანსდეს. ჩვენ მადლობას გიხდით ინტერესისთვის ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით რომ დროულად და ეფექტურად განვიხილოთ თქვენი აპლიკაცია.

## შერჩევა

შერჩევის პროცესში MAC-ის განხილვის კომიტეტი განიხილავს შემდეგს:

- რამდენად სწორი და სრულყოფილია განაცხადი;
- რამდენად ერგება პროექტი Call for Proposals-ის მოთხოვნებს;
- თუ რამდენად ასახავს პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნასა და საჭიროებას;
- პროექტის მდგრადობა: რამდენად სავარაუდოა, რომ ეს ინიციატივა გაგრძელდება MAC-ის მხარდაჭერის მიღმა;
- რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული ინიციატივა აღწერილ საჭიროებებს;
- საზოგადოების მხარდაჭერის დონე პროექტის მიმართ;
- რამდენად ხარჯ-ეფექტურია ბიუჯეტი, რამდენად შეესაბამება იგი განსახორციელებელ მიზანს;
- რამდენად შეძლებს პროექტი მნიშვნელოვანი და ამავედროულად გაზომვადი შედეგების მიღწევას.



# MAC GEORGIA

შეკითხვები

პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვით მიმართეთ თემუკა გიგაურს

ელექტრონულ ფოსტაზე : [temuka.gigauri@macgeorgia.org](mailto:temuka.gigauri@macgeorgia.org)